


5 491

პეკლი



1896

წლის



გამოსვას

საქართველოს
საბჭოთა მთავრობის
გამომცემი



I. მეთაჟრე წერილები.

წარსული წლის ნაყოფი, გ. წერეთლის მიმოხილვა, ან. წ. 2

ძველი მტრობა ახალ ქერქში, მასაკვასისა 2, 20

შარშანდელი ქართული მწერლობის შესახებ, შ. ჯ—ის 17

ცხოვრება და მწერლობა, ფსხსი . . . 49, 66, 342

ქალთა მომავალი სკოლის შესახებ . . . 102

ტყის მცველთა ბოროტ-მოქმედება, გ. ასლცისკელისა 122

კიდევ ოროდ სიტყვა ქალთა მომავალი სკოლის შესახებ 159

ჩენი ღღევანდელი ვარამი 265

შაჟი-ქვის მრწველთა კრება ქუთაისში გ. წერეთლისა 321

განთიადი, აკაკისა 353

გვირგვინის კურთხევა 269

უმალღესი ბრძანება 270

გაკვრიტ, გ. წერეთლისა 509

კუბი ან წყრილის გამო, ნადიკვრელისა ბაგრატიონთა ფონდის დაარსება . . . 549

საჭიროა თუ არა ექიმები ჩვენ სოფელში, ექიმ ვაჟაყვისა 561

ფოთის საეპარქო ნავთ-სადგური და მისი ახალი ხანა 571

მკირე შენიშენა, ა. ყუმიასთავკელისა . . . 581

ღღღღღღ, ნინო ყიყიანისა 591

მიწველეთ ნოვოროსიელ ქართველებს გ. წერეთლისა 601

ჩენი საჭირ-ბოროტო საქმე 649

ქვა-გუნდა (მარგანეცი) და მისი ფასების ღაცემა, სეკ. გაჩეჩილასისა 669

კეთალი ვანზახევა, ა. ყუმიასთავკელისა . . . 797

ჩენებური ღღღღღღის უწესოთ ვაჭრობის შესახებ, შ. ი. ვაჟაყვისა 717

ორი ახალი წრე, ტ—ო 882

ჯელი იარაღები 88

ზოგი მცენარის ყვეილი სიმწიფის დროს სქდება და ხმას გამოსცემს ხოლმე . . . 127

რენტგენის სხივები 144

ლუზრეს მღვიმე 179

მეცნიერება ვაკოტრდა თუ მეტაფიზიკა, ფ. მასრაძისა 211, 232, 260

საილოები ინგლისის და ინდოეთის ჯარში (სურათი) 227

ღროებითი ურთი ერთობა, მესი 323

სალიტერატურო შენიშენები, დუტუ შერკელისა 329

ბრამინების ლოცვა ეულკანის წინაშე . . . 345

რკინის გზის საქმის წარმატება (სურათი ადამიანის სასჯელის ისტორიიდან (სურათი) 362

სენანთის მკავე წყალი 495

გველებს მომთენიერებელი 392

ორიოდ სიტყვა ყვეილის ატრის შესახებ, ი. თ—ი 458

ინდოეთის ველური კამჩი 459

ღღღღღღ (ზღვის ღორი) და მისი სტუმარი 498

ნინავი და მისი დარაჯი 536

„სხოველთა და ფრინველთა თავის დაცვა“ 551

ვეფხ-აქლემი (ჭირაფი) 570

ენის წარმოდგომანზე, შ. ჯაბასისა . . . 590

ნამღელიათ არის ფერი თუ არა? 613, 617, 642, 660

კრიმინალური ანთროპოლოგია, გ. ზაძისა 624

რძისა და რძის ნაწარმოებთა გამოფენის შესახებ, ტ—სა 710, 732, 750, 771, 787

თვალთ მაქცები 760

ქლექი, გ. ზაძისისა 824

ჩენი ცხოვრება. წერილი I, ივანკელისა . . . 859

სად არი სამშობლო ვაჟისა? შ. ჯ—ის . . . 902

882 III. ისტორია. ანსკოლოგია, ბიოგრაფია და ნეკროლოგია 928

II. მეცნიერება.

პეტროვ ბრაუნშვეიგის საათი 24

იტალიის ცეცხლ მქმინავე მთებ-სამოხეტქა 26

პროფესორ პერინის პლანეტარი 40

საღმართო ნილოსი 72

სხვა-დასხვა გვარა სატანჯელო და სას-

ყოელათ უსამღღღღღღის იმერ. ეპის. გაბრიელი 65

პროფესორი ვასილ მოსეს ძე პეტროშვილი 101

გაბრაელ ეპისკოპოსის ანდერძი 107

ყოელათ სამღღღღღღღ იმერეთის ეპის. გაბრიელის გარდაცვალება 105

გვერ.	IV. სსვაჲ ქვეყნების აზბუბი.	გვერ.
იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ნეკროლოლი)	118	შობა საფრანგეთში (სურათი) 6
გაბრიელ ეპის. იმერეთისა (ნეკროლოლი)	134	შობის წინა ღამე ნეაპოლში (სურათი) 6
ელეონორა დუხე — ჩეკი	137	ფერხულში ჩაბმა შობა ღამეს გერმანიაში (სურათი) 7
მოგონება, ტ. ც — შვილის	149	იტალიაში შობის დღესასწაული (სურათი) 7
შარლოტა კორდე, ჯ — ისა	137	ბოშას სიმღერა გერმანულიდან (სურათი) 251
უკანასკნელი გამოსაღმემა	173	მოთამაშე ბოშა ქალი გერმანულიდან 254
ორი აზბავე გაბრიელ ეპის. ცხოვრებიდან	174	ქალების ინტერნაციონალური კონგრესი პარიჟში 357
ორიოდ სიტყვა განსვენებულ გაბრიელ ეპის. შესახებ, სოშ — ასი	199	ერნესტო როსი (სურათი) 411
თავადი სამეგრელოსი ნიკოლოზ დავითის ძე (სურათი)	245	დანტე ალიგიერი (სურათი), ა. 414
კარაბადინში დაცული შელოცვანი, ა. სსსსსსშვილისა	250	ქულ სიმონი (სურათი), გ. წ — ისა 433
სპარსეთის მეფე ნასრ-ედინი, გ. წყრეთლისა	317	გლადატორები (სურათი), ა. 440
ზებირ ვადმოცემანი. გარსია ლონდაძის ნამუბობიდან	410	სრულიად რუსეთის გამოფენა ნიჟნი-ნოვეგოროდში 453
და სხვებისა	438	გიმნაზიის მოწაფე ქალთა მოგზაურობა ნიჟნი-ნოვეგოროდის გამოფენაზე, ელიგასი 610, 627, 655
ზებირ ვადმოცემანი (ზემო იმერეთში) შეკრებილი და ჩაწერილი. გ. წყრეთლის მიერ	454	გურული ახალგაზდების ამერიკაში მოგზაურობა 612
ერც-გერცუაგი კარლოს ლუდვიგი ავსტრიელი	469	ბავშვების თავშესაფარი და საავთმყოფო ტ — სი 641
საისტორიო მასალა	471	უცხოეთიდან სოფელი და სასოფლო სკოლა, სს ზღვარგაჭეთელისა 44, 54, 75, 675, 685, 714, 730, 764, 792, 811, 828, 844, 855, 874, 894, 913, 935, 966
ქან დარკი, ა — სი	476, 494, 517	ნანსენის ექსპედიცია 705
ხალხური ზებირ სიტყვაობის გამო, ფშავლიშვილისა	486	ქურნალ გაზეთებიდან 734
კიდევ ზებირ სიტყვაობის შესახებ, ა. ს — სს	489	ქურნალ გაზეთებიდან 754, 763
ეპიფანია ეპისკოპოსის კობრისა ქვათათვის. ა. სსსსსსშვილისა	531	უცხოეთის ქრონიკა 822
ფშავლის ნამუბობი ზებირ სიტყვაობით გიორგი წიკლაურისა (ჩაწერილი ავლაბარში) მის. ანვარგაშვილისაგან	590	რუსეთის შინაგანი ქრონიკა, ფ. მასარაძის 836
საისტორიო მასალა	611, 628	ვილიამ მაკ-კინლეი, მ — ისა 856
მღვიმის დედათა მონასტრის წინამძღვარი ელენე — იგივე ელისაბედი ბესარიონ ვაშაძისა	724	უცხოეთის ქრონიკა მ — ისა 862
ჯუმათის სიძველენი, ა. სსსსსსშვილისა	749	უცხოეთის აზბუბი 878, 916, 937
ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანი	824	ბუღა-პეშტი, ე — გასი 891
ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანი, უმნიშვნელო შეკვებისა	849	ციელონზე მოგზაურობა, ე — გასი 901
შიო მღვიმის მონასტერი, აჯ, სსსსსსშვილისა	907	რუსეთის შინაგანი ხრონიკა, ფ. მ — სი. 962
ნეკროლოლი, ე. ჩხეიძისა	910	
წ სერგიო ალექსანდრეს ძე შერემეტევი	941	

V. გეოგრაფია და ეტნოგრაფია

გვერ.

მე-XXII საუკ. გეოგრაფიული ცნობანი საქართველოს შესახებ, აჯ. სსსსსსშვილისა	85
მგზავრის შენიშვნები, სომელიელისა . 154, 171, 187	
ჩალდირი	525, 554, 575, 593
მგზავრის შენიშვნები, ვინმე ქაღისა	645
ტურიაში მოგზაურობა, იოზაი მეთეაღ-ეღრესი	773, 791

VI. ზ ო ლ ი კ ა

რა არის პოლიტიკა, გ. წერეთლის	გვერ. 670	სრეითის დაწვრივზე, სრეითელ ტარეულ ზაქრამისა	გვერ. 321
ხელმოწიფე იმპერატორის და მისი მეუღლის მოგზაურობა ევროპაში	721	გვირგვინი. ევლოშვილისა	322
იტალიის მემკვიდრე ექტორ ემანუელის დანიშვნა შავი მთის მთაწერს ასულ ელენეზე	742	* * * * * ლექსი ი. ედღაშვილისა	342
რუსეთის შინაგანი ქრონიკა	801	* * * * * ლექსი რუს-იმერლისა	357
უცხოეთის ქრონიკა, მ—ს	806	ცხოვრების სურათები. ლექსი სილოვანისა გულს. ლექსი ყუსტისა	363 379
მართებლობის მიერ გამოცხადება	921	ელეგია ლექსი გ. გოგოლაძისა	373
უცხოეთის ამბები	944	ამონაკუნესი. ლექსი ი. ევლოშვილისა	399
		სიმბრძნე სოლომონისა (ლევენდა)	394, 408
		* * * * * ა. პლეშჩევიდან გ. მაქსიმესისა	439
		მარჯორი ვორდროპის ქალს ნ. ომბე-ლიანისა	458

VII. ზ ო ჟ ე ი ა

შობა ღამე (გერმანულიდან) ლექსი	გვერ. 1	* * * * * ლექსი დუტუ მუგრელისა	460
ახალ წლის მილოცვა	3	ივანე კოტორაშვილის ამბავი ვაჟა ფშაველასი	479, 499, 521
თანამეტალმეებს. ლექსი, სილოვანისა	6	გოდება (სახუმარო ვასართობი) მ—ი—სა	582
მთვარის ხალები. ლევენდა, ცახელისა	10, 22, 42	გაფრმდე? ი. ევლოშვილისა	492
ცხოვრების სურათები სილოვანისა	19	* * * * * ი. ევლოშვილისა	514
* * * * * ლექსი, დუტუ მუგრელისა	54	ობოლი. რუს-იმერლისა	535
* * * * * ლექსი, ნ. ომბელიანისა	70	ლომი. რუს იმერლისა	549
ხალხური ლექსი	70	ეუძღენი კნ. მ. ა—ს. განდევილისა	551
ეშმაკის წყარო. თ. რაზვაიშვილისა	92	„სოფელს რა მარეც ეუნახე“	567
მოგონება. ლექსი, ნაჭვანისა	110	* * * * * რ. ე—სა	568
გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების გამო დ. ტუბრელისა	123	მოხუცი ნინია სოხელისა	574
მყინვარი და მთიელი იაკობ ლეჟუშაქისა ჩემი სიმღერა ბ. დავითაშვილისა	129 143	* * * * * ლექსი განდევილისა	609
აკაკის. ლექსი, დუტუ მუგრელისა	152	მუხის ფოთოლი და ქანდარი (ლეონი-ტოვიდან) კოწისი	612
ნუ ტირი, ჩონთო! ლექსი, კორტოსასი გაბ. ევის. გარდაცვალების გამო ლექსი, სილოვანისა	163 174	* * * * * ლექსი განდევილისა	621
გაბრიელ ევის. გადაცვალებაზე ლექსი დ. თამაშვილისა	179	* * * * * ლექსი ზავლიაშვილისა	627
იმერეთის ევის. გაბრიელის გადაცვალებაზე სმ. პასტაქისი	182	* * * * * ლექსი ღასინისა	642
იმერეთის ევისკოპოსის გარდაცვალებაზე რაუდენ სავასელისა	195	„ნეტუ იმას“ კნ. ნინო ომბელიანისა	644
ზამთარი. ლექსი, ბ. დავითაშვილისა	200	* * * * * ლექსი დუტუ მუგრელისა	654
* * * * * ლექსი ეისა	205	პოეტის სიტყვა ეჭვ. ნტ. კომლატასისა „არა არ მინდა“ გ. შუჭაშვილისა	660 674
* * * * * ლექსი ოსიკოსი	214	ჩემს მუხას ბ. დავითაშვილისა	691
იმედი. ლექსი, ი. ევლოშვილისა	270	* * * * * ლექსი, ღასინისა	697
ღმერთა ბინდი ჰინენდან ი. ნავაშიძისა	225	„ტალღები“ ევლოშვილისა	712
მოთქმა ლექსი, გრიგოლ გ—ნავასი	225	სიმღერა, ვაჟა ფშაველასი	729
* * * * * ლექსი, დუტუ მუგრელისა	286	ექსპრომტი რუს იმერლისა	733
ცხოვრების სურათები. ლექსი. სილოვანისა მუნამბაზი. ლექსი აგაკისა	290 301	უმანკო მეგობრობა რუს-იმერლისა	750
არაგვისპირელის. აგაკისა	304	ლექსი ეუძღენი კ—ლა დ—სას) კნ. ნი-ნო ომბელიანისა	767
გმირი. ლექსი, ი. ევლოშვილისა	310	ქაბუტს მარტოფელისა	781
		„შენ არ იცი ხომ...“ (მიბაქეა) სანდროსი „გვენასკვამ სიმსა გაწივეტილს“ განდევ-გილისა	790 811
		* * * * * ი. ევლოშვილისა	823
		ხმა სპატიჟროდან პატიჟარისა	827

ლმერთო შეგკოლდ ბ. დავითაშვილისა .
ნიკოლოზ ტარიელის ძის დადიანის
ზოგიერთა ლექსები
იანშიოლ, რუს-იმერქლისა
ორი მგოსანი, თ. წაწიკაშვილისა
უდროთ დაბერებული, დუტუ მეგრქლისა
მეყვარები, კასკა ერისთავისა
ბ — ს. ლექსი დუტუ მეგრქლისა
ჩვენებური ფაუსტი ლექსი ბ. დავითაშვი-
ლისა

VIII. პელეტრისტიკა

ძველი ლმერთი (ფრანგულიდან) მღვდელ-
ლი გვარამაძე 12, 27, 93, 114
ის კი მიდიოდა, ა. დეკანოზიშვილისა 71
მეტი ღონე არ არის! ეტიუდი, ან. ერის
თვისა 130, 152, 168
ნუშო, მოთხრობა, გ. ბარნოვისა . 200,
217, 237, 291, 310, 333,
364, 399, 418, 445, 461, 482
სააღდგომო სურათები, კოწიასი 206
ბაში—აჩუკი, ავაკისა . 257, 274, 308, 325, 346, 379
საარაკო სარკე (ჩეხური), ს. ბრძიგელისა
ზაფხულის სიზმრები (სახუმარო გასარ-
თობი), ა. ზიმანისა
საზარელი შიში (ინგლისურიდან) ინგ-
ლისელი ქალისა
ბედის მძივბელი, ა. კადატოვიშვილისა
მატრაკვეცა, მესენ—გელისა
სარკე, ამბავი ჯორჯ ტეფისა. ინგლი-
სელი ქალისა
„მთაო მაღალო“ თომანთ ყობასი
საზაფხულო მსლათი, ა. ზიმანისა
კარცერი და ტიკტორა, პ. გოთუა-
სი 662, 681, 700, 735
ოსმალური ზღაპარი (თარგმანი), ან.
წ—სა 814, 829, 846
განგება ღეთისა აღსრულდეს, ა. ერის-
თვისა
სიკვდილით დასასჯელი გიუი დე მოპა-
სანისა (თარგმანი), მამა ჰიროსკე-
ლისა
ფერია. განდგეგისა

IX. საყურადღებო ამბები (კორესპონდენციები)

განჯიდან, ა. ყუშისთავისა
გვერ. 36

გვერ. 339 კავკასიური საღამო კვეში 51
აბაშიდან და ბათუმიდან. 52
852 სიტყვა თქმული ქუთ. თავ. აზნ. წინამ-
871 ძლოლისა ს. წერეთლისა 74
891 კაჭრეთიდან დ. სოლოლაშვილისა 68
910 რაჯ. ერასთვის შესახებ და გორიდან 83
915 სტაქიონის ძლიერება, ვ. მასსუღასი 97
930 რაჭა და ქათურა 104
განჯა 121
931 გაბრიელ ევის. ანდერძი (მწვემსიდან № 2)
აუხაზეთი, სიღნაღი, შორაპნის მახრა და
დაბა ყვირილა 147
გვერ. ქუთაისი, კუზი (სოფ.) ბარცხანა, ქვემო
ჭალა 161
კავკავი, დაბ. დილიქანი, ქ. ბათუმი 176
ყოვლად სამღვდლო ევის. გაბრაელის
გეჰის დაკრძალვა 189
(სიტ. წარ. გრაგოლ. ევის. ივ. წატიშვი-
ლისა, თ. სუსკივამისა, ვ. გ. მანაბლისა)
განჯა, ხონი, ზუგდიდი 198
დაბა საჩხერე, სადგურა განჯა 209
ხმა ქიზიყიდან, დაბა ხონი 267
რუისი. სურები. ოსმალეთიდან, ქუთა-
ისი, გურია 248
სიტყვა თქმული თავ. ნ. ტ. დადიანის
მიერ გელათის მონასტერში 226
ქაქვიჯი 284
ქიზიყი, ყვირილა, საჩხერე 300
594 სამიქაო, ქოლობანი, ხარკოვის სტუდენ-
ტის წერილი 320
598 სოფ. წესი, ქუთაისი და სხვა 354
სოფ. ქალა, ლიხაური, ყვირილა და გუ-
რიიდან 370
დაბა ბოჭი-პრომისლი და მისი ახლო-
მახლო ადგილები 390
გულდუთი, ეწერი, წყალტუბო, ზაყამთა
და სხვა 436
ქართლიდან, ქვემო-რაჭა დაბა დილიქა-
ნი, ს. ქაქუთი, ს. მიქელგაბრიელი
ნიქინი-ნოვეგოროდი, ლეჩხუმში, ხონი, ქუ-
თაისი ს. წირქვალი 472
სამეგრელო, ს. მოხისი, ს. ხიდისთავი,
ახალ-სენაკი და სად. ნატანები 492
ნიქინი-ნოვეგოროდი, გურია, ს. კუი, ს.
ელნოტი, ს. სართიქალა 514
კახეთი, ს. იანეთი, შემანა, გურია, ს.
ბაჩაყა, სიღნაღი, ფრონის ხეობა
ლეჩხუმში, ბარის ოსეთი, აბას თუქანი,
გვერ. 36

დ. ლავოდესი და სამეგრელო	გურია, ს. ქალა, ს. დერჩი, სამეგრელო, გულაუთი	ბორჯომი, ფოთი, გორი, დაბა დილიჯანი, ს. ნოსირი	ლენხუმი, საიდან წარმოდგა სიტყვა აბასთუმანი, დაბა ჩოხატაური, ქ. ახალციხე, ქვემო მაჩხანანი, ქვემო რაჭა, ს. წვეა	ბათუმი, ქვემო რაჭა, ოზურგეთი, ლენხუმი, ქვემო ქალა, ფოთი	ქიზიყი, დაბა ოჩემჩირე, ხაშური, ს. დიმიტა, სოფ. ნიგოთა	პეტროვსკი, გულაუთი, ხარაგაული, ქიზიყი	იმერეთი სად. ხაშური	სად. სულსა, ქვემო-მაჩხანანი, ფოთი, სოფ. ციხე და დ. ხიდისთავი	სამეგრელო, ს. საგარეჯო, სად. ვანჯა, ლავოდესი	ოზურგეთი, ქუთაისი, ბარის ოსეთი, სად. ძეგანი და ბათუმი	მცხეთობა, იაზაი მეთაფლეურკისი	თელავი, რაჭა, ჩხაროწყუ, დ. დელეჯანი, ქიზიყი	კახეთი, ნოვოალექსანდრია, ლორეშა და სოფ. ჯვარი	დაბა ზიულ-ოხტოვი კულტუკი, ლელენის საზოგადოება, სოფ. მარადილი, გულაუთი	სოფ. ქალა, ოდესა, სოფ. შემოქმედი ყვირლა, ნიუ-იორკი, ერევანი	თონეთი, კახეთი, გურია	ქუთაისი, ხობი, ბარის ოსეთი, წერილი მოსკოვიდან	ბათომი, ოკრიბა და ნახჩევანი	აფხაზეთი, სოფ. ბაკურციხე და სენაკის მარა	მიწათმოქმედების სამინისტროს ადგილობრივი ორგანოები	ფოთიდან ი. ანკუთქისა	ნახიჩევანიდან ტაჭ. ინსასრისკისი	ლენხუმი
X. კ რ ი ტ ი კ ა																							
ზოგიერთი ფიქრი	რეცენზია. ცოლ-ქმარი მოთხრობა ი. ნიკოლაიშვილის, იასუ კაქუელის																						

330რ.	547	„ევა“ მოთხ. რ. ფაველნიშვილისა, შ. ჭ—ისა	305
	564	მოსე ჯანაშვილის „შოთა რუსთველი“, ფ. მსაჩაძისა	349, 382
	586	ურბნელის შენიშენების გამო, გ. დ. ნიკოლოზ ბართაშვილი და მისი დრო, სომეხებისა	375, 416
	605	კრიტიკული განხილვა, ფ. მსაჩაძისა	464, 484
	605	კრიტიკული წერილმანი, ყაზბისა	502
	621	კრიტიკული შენიშენა, ი. გ—ისა	658
	621	არმონიული ეტრუდი (კრიტიკა), ი. ნაკაშიძისა	677
	637	ჩენი მწერლობა, ი. ნაკაშიძისა	698, 716, 752
	652	ვაჟა-ფშაველას პოეზია. 783, 808, 841, 865, 913, 932	
	673	XI. ზუბლიცისტიკა, სსვა-და-სსვა ამბები	
	689	მატიანესაგეთ, გუფ-გატკისისა	36
	708	წყალ-დიდობის გამო, დუტუ მკვრელისა	58
	725	კვირიდან კვირამდე, გრ—ალ—იქსი 59, 68, 90, 123 ქალები არიან დამნაშავენი თუ კაცები? მსოკეთელისა	94
	745	აკაკის მიგებება ხარკოვეში	112
	745	მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება, ნ. ყოჩანასისი . 150, 166, 183, 202, 215, 230, 256, 270, 286, 301	
	768	კვირის ფარანი, კვიპტისა . 221, 297, 318, 337, 373 წლიური ანგარიშები (თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებისა და წერაკოხტვის საზოგად.)	341
	781	გვირგვინის კურთხევის დღესასწაულის გამო	372
	803	გვირგვინის კურთხევა	406
	825	შენიშენები, ფ. მსაჩაძისა	538
	838	ქართული მწიგნობრობა და ბათომში ქართული წიგნების ბეჭდვა	558
	853	მარჯორი ეორდროპი ყვირილის ხეობაში, სტუმარისა	568
	869	გლენი ზედგინიძენი და მადი თავ-გადასაეალი, ერთი მუშათაგანისა	631
	885	წერილი რედაქციის მიმართ, კნ. მ. სიდამონ ერისთავისა	691
	916	ფელეტონი, შემოქმედელისა	694
	907	კვირიდან—კვირამდე . 743, 757, 777, 798, 819	
	907	წერილი რედაქციის მიმართ, თ. მთავრისა	896
	955	წერილი რედაქციის მიმართ, თ. მთავრისა	
გვერ.	268, 281		
გვერ.	236		



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაზებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირადღეს.

№ 1

ი ა ნ ვ ა რ ი, 1 1896 წ.

№ 1

შინაარსი: შობა-ღამე, ლექსი გერმანულიდან. — წარსული წლის ნაყოფი გ. წერეთლისა. — მიმოხილვა. ან. წ. — ახალ-წლის მილოცვა. — შობა საფრანგეთში. — შობის წინაღამე ნეაპოლში. — თანამეკლემებს (ახალ-წლის გამო) სილოვანისა. — ფერხულში ჩაბმა შობა-ღამეს გერმანიაში. — იჯალაში შობის დღესასწაული. — მთვარის ხალები (ლეგენდა) ცანელისა. — ჰკელი ღმერთი (ფრანგულიდან) მღ. გვარამაძისა. —



შობა-ღამე

გერმანულიდან



ობა ღამეა. ყველას სახლებში მხიარულობენ ერთათ ბავშვები. ფარდებს იქითა ფაცა-ფუსცია, ჩუმათ მზადდება იქ საჩუქრები.

ბავშვებს გულით რწამთ: „ზევით ჩამოვა და მოგვადგება ქრისტე კარზეო; მას თან მოყვება ზარების რეკა: თვალი გვეჭიროს საჩუქრებზეო“.

ქალაქს გარეთა განკიდურებით შუქი გამოკრთის ერთი ფანჯრიდან; საწყალი მუშა თავის შვილებით ელის საჩუქარს თვით მაცხოვრიდარ.

აი, ყველას ჰჯობს აქ ეს სურათი:
სამი ბავშვია ალტაცებული;
უმცროსი მამას უზის კალთაში
და გვერდით დედა განარებული.

იმათ წინ უღვათ მომცრო შობის ხე,
განათებული თორმეტი სანთლით;

მისი ტოტები დაშვებულან
საჩუქრებით და წითელი ვაშლით.

აი, ამ წუთას ეს ოჯახიცა
ბედნიერი-ქ ყველა ხარობს;
წლითი-წლებამდე გაჭირვებულთა
ბოლოს ელხინათ: დედ-მამა გალობს.

წარსული წლის ნაყოფი



არსულ წელს დასაწყისის საქართველომ დიდი უბედურება დაატყდა თავზე. წარღვნამ აიკლო იქ ყოველიფერი. ვაკე იმერეთი და წინაგორების მცხოვრებლები მეტათ დაზარალებული შეიქნენ. მარტო ერთი ფოთის ზარალიც რომ აიღოს კაცმა, რამდენიმე ასი ათასი მანეთის იქნება; მაშასადამე მთელი იმერეთის ზარალი მილიონსაც გადაემეტება. ზოგი სოფლები სულ წაილეკა და ხალხი ცარიელზე დარჩა. ვინ იცის, რა უბედურების სურათები უნდა დატრიალებულიყო სხვა-და სხვა ალავს. ჩვენი კორესპონდენტი მ. თურქია, აი, სხვათაშორის რას გეწერს ფოთიდან: წყალი რომ მოვარდა, ბოვში დამჩნა ოთახშიო. „ვერაფრის ნაირათ ნაეი ვერ მიეყენეთ წყლის სიჩქარის გამო. მთელი ორი დღე ვეწვალე, სულ სოფელი ვიყავი, ბოლოს წყა ღმა იკლო და შევედით ნავით შიგ ოთახში, სადაც ვიპოვეთ ბოვში მშერი, მაგიდაზე დადგმულ კამოდზე იყო მწოლარე, რომლისთვის პურიც ველარ ვიშოვე, მხოლოთ სუხრით დაეუმავგრე სული. მე მყავდა აბისთანა ერთი, ცოლშვილი იანებს კა მრავალი. წარმოიდგინეთ თქვენ მათი მდგომარეობა“.

ასეთი დიდი უბედურება დაგვატყდა თავზე და შემწვობისათვის ჯერ კრინტიც არავის დაუძრავს. მახსოვს ამ სამი წლის წინათ რუსეთში შემშვილობა იყო და კავკასიიდან, ნამეტურ დასაფლეთ საქართვე-

ლოდან, აუარება შემწვობა ფულით, სიმიდით და ხორბლით გაიგზავნა. ახლა ჩვენზე ხმას არავინ იღებს. გარეშე უტხო ერი რათ უნდა გავამტყუნოთ, როცა შინ ჩვენებიც ჯერ ყურს არ იბერტყენ.

შევადაროთ ამ სურათს საზღვარგარეთიდან მოსული ამბავი ერთი ჩვენი თანამშრომელისაგან.

ერთი ასეთი წყალდიდობაო—გეწერს ჩვენი თანამშრომელი—წელს ვიურტემბერგში მოხდაო, სულ ორი-სამი სოფელი დააშავაო. მაგიერათ შტუტგარტში იმდენი ფული მოაგროვეს დაზარალებულთა სასარგებლოთ, რომ, მგონი, ათი სოფლის აშენება შეიძლებოდა. აგრეთვე ბერლინში გამართეს „ზაზარა“ და ვეებერთელა კონცერტი იმათ სასარგებლოთ“.

ძალიან არა ჰკავს ამას ჩვენ დაზარალებულთათვის გულცივობა?

თუმცა წარსულმა წელმა ამ სახით ბევრი უბედურება გამოიწვია, როგორც სხვა ქვეყნებში, ისე ჩვენში, მაგრამ ჩვენ მაინც დიდი მადლიერი ვართ გასული წლის, იმისთვის, რომ ის შეიქნა მსოფლიო ისტორიაში და საკუთრათ ჩვენთვისაც ძალიან საგულისხმო. ეს გულისხმა, აი, რას გვასწავებს: ყოველი ერი მარტო თავის თავზე უნდა იყოს მინდობილი. სხვის იმედით დარჩენა და წყალ-წალღებულობა ორივე ერთაა; ამიტომ ვისაც სურს თავი გაიტანოს ცხოვრების ბრძოლაში, მარტო თავის ჭკუისა და თავის მარჯვენის იმედი უნდა ჰქონდეს და ისე მოიქცეს: მტერს მტრობა გაუწიოს და მოყვარეს მოყვრობა.

გ. წერეთელი

მ ი მ ო ს ი ლ ვ ა



ინც დააკვირდება ჩვენ წყალ-წალღებულ ცხოვრებას, მეტადრე ამ 1896 წლისას, ნათლათ დაინახავს ერთათ ერთ სხივს და ამ სხივით უნდა ჩაითვალოს, რომ ქალაქებში და დაბა სოფ-

ლებში სამკითხველოები გახსნეს, ან ხსნიან, ან აპირებენ გახსნას. მართლაც თავის ქვეყნის კეთილმოსურნე კაცისათვის ამაზე აღვილი საქმე არა იქნება რა: მოაგროვებენ ათ-თუთხმეტ თუმანს სამკითხველოს მოსაწყობათ არჩეულ ადგილას, სოფელი იქნება, თუ ქალაქი, იშოვიან ნაცნობებში წიგნებს, ერთი-ორი თუმნისასაც იყიდიან, რედაქციებიდან გა-

მოიტანენ ჟურნალ-გაზეთებს, ან ფასდაკლებით, ან მუქტათ და გაწაღდა სამკითხველოს საქმე. მაგრამ ნათქვამია: მაღლი ჰქენი—მარლიც მოაყარეო. ეინც დაკვირვებით ჩაინგდაეს საქმეში ან ერთ სამკითხველოების დაწყება ფესეს არ მოიკლავს, თუ ორი პირობა არ იქნება დაცული:

1) სამკითხველოების გამგეებს თითონ უნდა ჰქონდეთ შესწავლილი მთელი ჩვენი ლიტერატურა და რჩეული წიგნების მიწოდებით ხალხს უნდა ისე შეაყვაროს და შეაჩიოს კითხვა, რომ მათ წიგნები არსებითი პურათ მიაჩნდეს, თვარა რომ მარტო ისინი იყვენ მკითხველნი, რომელნიც თვითონ იწერდენ ჟურნალ-გაზეთებს და ახლა სამკითხველოდნ უბრალო ფასათ გამოაქვთ, ამით ზარალი მოუღის ჩვენ უიმისოთ ღარიბ ლიტერატურას.

2) წიგნების გამოცემა უნდა გამრავლდეს, თვარა ცოტა გვაქეს და შესაძლოა, რომ მკითხველმა

ერთ-ორ წელიწადს გადიკითხოს ყველა და მერე გული აიყაროს. ამგვარი მაგალითის მწახველი ვართ ტფილისის სამკითხველოებში. ბევრმა ერთ-ორ წელიწადს გადაკითხა ჩვენი წიგნები და რაკი მასალა აღარ მიეცით, კითხვას თავი დაანება.

ამიტომ საჭიროა, რომ არა თუ ყოველ დღე, ყოველ საათსაც გამოდიოდეს ნაბეჭდი წიგნები და წიგნაკები, მხოლოთ ხეირიანი, რასაკვირველია. ამისათვის უნდა გვყავდენ ბლომათ გამომცემლები და კრიტიკოსები. ეინ არიან ჩვენი წიგნების გამომცემელნი? თფილისის და ქუთაისის წიგნების გამომცემელი ამხანაგობა, წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, სახალხო წიგნაკების გამომცემი პატარა წრე (თბილისში და ქუთაისში) და ზოგი ერთი კერძო პირები.

ან. წ.

(დასასრული შემდეგ)

ახალ-წლის მილოცვა

ს ა ქ ა რ თ ე ე ლ ა ს

დაეიწყა შენი სახელი,
ღროა აჩვენო ქვეყანას,
რომ ისეც ცოცხლობ ჯანმთელათ,
ცდილობ შენი სეის გატანას.

ს ა ქ ა რ თ ე ე ლ ა ს ე რ ს

გარს შემოკრიბე შეილები,
შექმენი ძალი ერთობის;
ახალი ხანა დაგიდგა,
შეჭკარ კამარა ერობის.

ქ ა რ თ ე ლ ს

მმობა ერთობის მღერალი,
ნურც დღეს უმტყუნებ მაგ ხმასა.
განზიდე შენი ფესეები,
გვერდს ამოუდექ შენ ძმასა.

ქ ა ს ე თ ს

შენ ძველო გმირთა სავანეც,
კვლავ გაგვიზარდე გმირები:
ელისბარ, შალვა, ბიძინა,
მათებრი გენდა ბიჭები.

მ ე რ ე თ ს

მკვირცხო მამულის მესეო,
ველთ შენს ვაჟაკობასა;
ეშურე სწავლა-მცნებასა,
გონიერ თაონობასა.

გ უ რ ი ა ს

კახაბერისა 1) სამშობლო,
კვლავ ზარდე კახაბერები.
საზღვრზე მტკიცეთ დაგვიდგე,
შემოიკედლე შეილები.

ს ა მ ე გ რ ე ლ ა ს

ოქროს ვერძისა პატრონო
განდვენე აშორდები;
ბიჭბუჭებს როგორ ანებე,
რომ გარყენან შენი შეილები?..

ს ა ს უ მ ს

გაიხსენე ძველნი დღენი,
გამობრწყინდი კვლავ დიდ ცხუმათ; 2)
ანაკოფია 3) ზღვამ ჩანთქა,
შენლა დაგერჩი მის წილ ბურჯათ.

1) კახაბერი გურიელების წინაპარია, რომელიც მედგრათ ებრძოდა მასშადიანობას მეოთქესმეტე საუკუნეში.

2) სოსუმს მკვლათ ცხუმში ეწევა და იყო სატანტო ქალაქი აფსაზეთის მეფეებისა.

3) ანაკოფია, სადაც თავი შეიფარეს საქართველოს მეფეებს, მიწას და აჩხილმას, მუჭუნ ერეს საწინააღმდეგოთ.

ფ ო თ ს

ბაყაყებმა შეგაწუხა,
დროა გაიშრო ზურგია;
თუ „პორტი“ არ მოგეშველა,
შენი იღბალი ცუდია.

ბ ა თ უ მ ს

დაგსევია უცხო ტომნი,
არ გაძლევენ მოსვენებას;
სამშობლოს ზურგი მიანდე,
შეუდექი ქართველთ მცნებას.

ქ უ თ ა ი ს ს

ძველო კოლხიდის სატახტო,
გინატრი ახალ რკინის გზას.
არ გაგიცუდდეს წადილი,
მიანდე საქმე ვისმე სხვას.

თ ფ ი ღ ი ს ს

ვანტანგ-გორგასლის სატახტოც,
ყვავე-ყვარანს ერგე წილათა;
დროა, იფიქრო შენ თავზე,
ქართველს გაუხდებ ბინათა.

წ ე რ ა - კ ი თ ს ვ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს

ერის ბურჯათ მოვლენილო,
გშველოდა თავდადებულო;
დღეს ბრძენები დაგსევია
სხოლასტიკით აღსებულო.
თაროები გაგიტენეს
იმათ აჭი-ბაჭიითა;
წიგნის ღუქნათ გადაცეცალეს,
ვაჭრობენ შენი თანხითა.

„ ი მ ე კ რ ი ა ს ს “

სამი წელია ირყევი,
დროა დადგე სწორ გზაზედა.
ვერც გიგლამ და ვერც დაეითმა,
ვერ გაგწრთენეს ახალ ხმაზედა.

„ ი მ ე ა ლ ს “

ახალ გზაზე გამოსულსა
გისურვებ, რომ გაიმარჯვო;
სხვების ენას ნუ აყევი,
ვინძლო, ცოდნა მოიმარჯვო.

„ მ ე კ ი ლ ს “

ოჯახი გადავირჯულდა,
ვერ გიცენეს, ჩემო ლალო.
შენი არ ჯერათ, გითელოან,
დრომ ასე მოიტანაო.

„ მ ო ა მ ბ ე ს “

სქელ-სქელ წიგნათ გამოდინარ.
ბალახ-ბუღბუღ გატენილი;
ვერა გშველის რედაქცია,
რომ გიხილოთ გაწმენდილი.

„ მ წ ე ე მ ს ს “

ბევრი საგულისხმო გეითხარ,
ბევრსაც შემდეგ მოველით;
მწყემსო კომბლით აღჭურვლო,
მგელი მუსრე მხნე ხელით.

„ Новое Обозрение “-ს

იქითაც ხარ, აქეთაც ხარ,
ჭჯობს შეუდგე თავის ცნობას;
„ეირიჭოფი“ *) გამოგიცა,
მერე დაიწყებ ნაწიას.

„ Черноморский Вѣстник “-ს

კაცი ის არას, ენც ებრძვის
ყოელია მზავგრელ ძალასა;
ხოლო კაცუნი ის არის,
ენც თავს მის ფეხქვეშ მალავსა.

„ К а в к ა ვ ზ “-ს

ზოგჯერ ბევრი გაქვს აზრები,
ზოგჯერ ერთიც გენატრება;
კარგს იზამ, გულოს გაიხსნიდე,
არ გიჩანდეს ცუდი ენება.

„ Тифлисский Листовъ “-ს

სულ მასხარობა რათ ვარგა,
დაადგე კაცურ მსჯელობას.
რეკლამებს თავი ანებე,
მოჰყევ გულმართლათ მწერლობას.

*) მეგრულმა ორ მწერკს მიმინო მოუტოვა და თან მიამხს „ეირიჭოფი“ (ორივე დაიჭირე). ვერც ერთი კი ვერ დაიჭირა.

„მ შ ა გ ს“

სიტყვით „ძმობისა“ დახილსა
ჰჯობია საქმით გვიჩვენო.
ზურგი მისცე მეზობელსა,
მას სიყვარული, აჩვენო.

„ნ რ დ ა რ ს“

შენი შუღლი, კატის ღრენა—
სულ ერთია ჩვენთვისა;
მითხარ, რას გვებობოქრები,
რა გინდა ჩვენ ქვეყნისა?

„ა მ ძ ა გ ა ნ ქ ს“

პირფერობა, უკან ზრახვა
არ შეშენის ვატიკაცსა;
მეზობელი თუ ხარ, მართლა,
უნდა ეძმო კაცი კაცსა.

ქართულ წინამძღვრობებს

ველარ გიქვებთ წინამძღვრობას,
ძალი არ გწვეთ ქადილსა;
ჰჯობია ფხის გამორჩენა
დიდ სუფრაზე სადილსა.

ჩვენ ქალაქის თავებს

გარეგანსა ბაქი-ბუქებს
გვიჩვენია საქმე;
სანამ რასმე გვიშველიდეთ,
წარღვენამ ჩაგენტქა რაღმე.

ქართულ თეატრს

თქვენ დაგჩემდათ ცუდი სენი,
ვერ გიწონებთ მავას;
ბებრუტანა ახლოგაწოდბს,
ყმაწვილს უშლის თაბაშს.

ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის შკოლას

მოგილოცავ ახალ-წელსა,
გაზდა-დამთავრებას.
ბევრს ეცადა იაკობი
შენ გადაგვარებას;
მაგრამ ნიკო ზებელიჩი
არ დაუვა მის ნებას.
მადლობა ღმერთს, მით ველირსეთ
წელს ბურჯის ჩაგდებას.

სოფლის მასწავლებლებს

ერში ჩამდგარო მუშაკნო,
მარილო ჩენი ქვეყნისა,

არ დაგვიმოაშოთ თაობა,
აწოდეთ მშობლურ ენისა.

ქართველ მოწაფეებს

აივსეთ ცოდნით, არ გნახონ
უაზრ-უმიზნოთ გართული;
თანაც შეიგნეთ სამშობლო
და მისი ენა ქართული.

სამეურნეო ურთიერთ ნდობის ბანკს

მეურნეთ შემწე გვეგონე,
განზე გაუდგე საქმესა.
ვექსილები გაამრავლე,
ფული აკუთვნე ჩარჩებსა;
მხენელ-მთესველთა ჰირნახული
ნაღდზე ფულათ ვერ გასცესა;
მოგება ზედა ელადიმერსა
და მის წევრებს მოვაჭრებსა.

ქუთაისის ურთიერთ ნდობის ბანკს

ფული გაქვს საწარმოებლათ,
ღროა შეუდგე საქმესა.
მიეშველე დედა-ქალაქს,
ყოველგნით ხელალუპრობელსა:
„კონკა“ უნდა, გაუკეთე,
წყლით მორწყავდე მის ქუჩებსა.
თუ ამაებს მოიქმედებ,
ჩვენც ვადიდებთ შენს სახელსა.

მისილავის ბანკს

საქმეები დაგეხლართა,
აგერია მონასტერი,
სულ გაიბნა აქეთ-იქით,
რაცა გყავდა ბანკის წევრი,
ხმალ-ხანჯოლების ტრიალითა
გააბრაზე მოყვას-მტერი;
მით შეიქენ გარიყული,
ვა-თუ დარჩე გასამტვერი.

თფილისის თავად-აზნაურობის ბანკს

შენმა დიდმა წარმოებამ
ჩენ მოგეცა კარგი ნაყოფი,
მხოლოთ გიწუნებთ იმას, რომ
გარყვენი ყველა მანდ მყოფი;
დახარბდენ ფულზე, ატებენ
ჩხუბი და ბრძოლა საყოფი,
ერთობა ჩენი მან დასცა,
მრავალ ჰირ-ვარმის ნაყოფი.

მესამე დასს

მოდით, ძმებო, შემოკრბენით,
„პური“ შეგვექნია სამკალი;
„ჯერ ჰოლოპუნა დედახოთ,
„მერე კი არი-არალი“.


შობა საფრანგეთში

შობის წინაღამის ქუჩის მომღერალნი



აეცემა თუ არა ბინდი შობის წინ დღეს, მთელი პარიჟის ქუჩებში და ბულვარებზე ტევა აღარ არის. ყაფახანებს ერთ თვალის დახამხამებამდის მიაწყდება აუარება ხალხი, რადგან იქ ქუჩის მომღერლები იმღერიან. მრავალი გამყიდვეები იაფი საქონლისა ყვირიან და აწოდებენ ამ დროს მოსვირნე ხალხს თავის იაფუხასიან სათამაშოებს. ისინი არიგებენ აგრეთვე დასტამბულ ფურცლებს, რომ-

ლებზედაც აღბეჭდილია მრავალი სახუმარო—გასართობი ამბები. არის ხალხში ერთი აურ-ზაურა, სიცილი და მხიარულება. მრავალი მათხოვრები სარგებლობენ ასეთი ყრილობით და ითხოვენ მოწყალებას. ქუჩის სვეტებზე გაკრულია ქაღალდები, რომლებზედაც დასტამბულია ქუჩის მომღერალთა და მოსაკრავეთა სასიმღერო და დასაკრელი ჰანგები. ყოველ ყაფახანის წინ დგას ამ დროს ორი, ან სამი პატარა მემუსიკე და უკრავს თავის შეთხზულ სიმღერებს. ზოგი მათგანი სასაცილო და ყურის გამოსაჭედოც არის; მაგრამ ხალხი მანც სიამოვნებით ისმენს მათ ხელოვნებას. ზოგ ალაგას მომღერლები თან ცეკვენ და თანაც იმღერიან.



შობის წინა-ღამე ნეაპოლში



მთელი ნეაპოლის ხალხი ცხრა დღის განმავლობაში, სანამ შობა დადგებოდეს, ქუჩაში დაიწყებს ცხოვრებას და მხიარულებაშია. კაცის ენა როგორ გამოთქვამს ამდროს იმის აღტაცებას. შობის წინა ღამეს კიდევ უფრო მომეტებულია ძლიერდება ეს მხიარულება. ნეაპოლის ქუჩებში ყოველგან დასვენებულია ღეთისმშობლის ხატები. ამ საღამოს ყოველი ხატის წინ დგანან მემეტერიები და უკრავენ ქრისტესშობის საგალობლებს. ქუჩაში მოსვირნენი წამის-წამ ისერიან პაწია ნაღმებს. არის ერთი საშინელი გრიალი და ხათქა-ხუთქი, თითქოს

თოფის სროლააო. ბევრჯერ მოხდება, რომ ნაღმი-საგან რომელიმე მოსვირნე დაიჭრება; ხან-და-ხან ნაღმის უხერხულათ გამსროლსაც დაუშვდება ან ხელი, ან ფეხი. ეს ნაღმია პაწია რკინის კოლოფი თოფის წამლით, ან დინამიტით გატენილი და ეძახიან ტრისი-ტრასს. ასეთი დროს გატარება განიგრძობა მხოლოდ იმდრომდის, სანამ შუღამის რეკვა არ დაიწყება ტაძრებზე შობის დღესასწაულის მოსასმენათ. ამ წუთს უეცრათ შეწყდება ყოველგან მხიარულება, ხალხი მიყუჩდება, აანთებენ სანთლებს და სალიტონიოთ გაემართებიან ტაძრებისკენ დიდებული გალობის მოსასმენათ, რომელიც შეიცავს ღეთის მშობლის ქებას და შეენიერ ქრისტეს ნაწინას.



თანამეკალმეებს

(ას:ღწდის გამო)



მეგობრებო! ურთ-ერთ შორის, მო, კავშირი შეეკრათ ძმური: დღეის შემდეგ დავემოთ, მოესპოთ ერთმანეთის კბენა, შური!.. ერთი მიზნით გაემსკველოთ: მამულს უნდა სამსახური— და მას მთელათ მოვანდომოთ ჩვენი ფიქრი, თვალი, ყური!

* *

ვინც მამულის სიყვარულში ბევრჯერ ცხელი ოფლი ღვარა,

ვისაც მოძმის სეზე ფიქრში ტანჯვით შუბლი დაეღარა, შეცდეს რამე— ნუ თუ წამსვე დაეკრათ ბუკი და ნაღარა. ეუწყოთ კბენა, კიცხვა, ღენა?!.. არა, ძმებო, არა, არა!..

* *

ვინც სამშობლოს სადიდებლათ ხელთ აიღოს ჩანგი, თარი, ააქლეროს—ეგრ გამოსცეს ხმა ციური საოცარი,— ნუ თუ წამსვე ეუკიჟინოთ და აეყაროთ ხმალი, ფარი?!.. არა, ძმებო: ხორციელი არეინ არის შეუწყთარი.

* *

ასე ეთქვათ და ასე ესაჯოთ:
 „ერდგულია მამულისა;
 მოყვარული მოყვას-მოძმის
 დამფარველი ჩაგრულისა,
 შემნახველი მამა-პაპის
 კეთილ ნათეს-დარგულისა“, —
 და ნუ ვესხრით სიტყვას, მწამლევს
 მისი სულის და გულისა.

* * *
 ქრისტეს სწავლით გვმართებს — დაეთმოთ
 მტრის ურიცხვი შეცოდება, —
 ჩვენ კი ხშირათ მოყვარეცა
 ერთჯელც აღარ გვეცოდება!..
 ერისათვის თავის დამდებს
 ამით გული ეცოდება, —
 მტერი გვიცქერს და იციანს,
 ჩვენ დამხობას ელოდება!..

* * *



გაეარჩიოთ მტერ-მოყვარე,
 ნუ ვიმატებთ ცრემლთა დენას: —
 მტერი სხვაა, იგი სხვაა, —
 ნუ აურევეთ, თქვენსა ლხენას;
 ეინც განზრახვით ზნეს გვიბილწავს,
 სჯულს გვიგინებს, გვირყენის ენას —
 ის მტერია, — გაუშუქლავდეთ,
 ნუ მოვაკლებთ დენას, კბენას!..

* * *

მოყვარეს კი შეტომები
 გაუესწოროთ ძმურათ, ამოთ,
 და მით ბნელი გაეინათოთ,
 არ თუ დღევცა დავიღამოთ...
 ჭირსა ერთათ შევებრძოლოთ,
 ლხინში ერთათ ვცვათ და ეჭამოთ,
 და ვიცხოვროთ ასე, ქვეყნის
 სასიკეთოთ, ძმათ საამოთ!

სიღვთისა

უერსულში ჩაბმა შობა-ღამეს ვერმანიაში

შვარცვალდის მხარეს, რომელსაც ჩვენებუ-
 რათ შავი ტყე ჰქვია, მრავალი სოფელია და
 იქ უძველეს დროიდან არის დარჩენილი შემ-
 დეგი ჩვეულება. შობა-ღამეს ერთი სოფლის ქალი
 და კაცი შეგროვდებიან გზა-ჯვარადინზე. ვერმანიაში
 ყოველ გზა-ჯვარადინზე ბოძია დასობილი და ზედ
 ფიცრები გაკრული. ამ ფიცრებზე აწერია, რომელი
 გზა საით მიემართება. სოფლები დადგებიან გზა-
 ჯვარადინის ბოძის გარშემო და ქალ-ვაჟნი ჩაებმებიან
 ფერხულში ერთი მეორის პირდაპირ. ამათში ზოგი
 ცოლქმარია, ზოგიც გასათხოვარი და ახალგაზდა კა-
 ცები. ერთი მათგანი დაიწყებს მკითხაობას მთვარეზე
 და ღრუბლებზე. ეს მოხდება მაშინ, თუ შობა-ღამე
 მთვარიანი იქნება. მთვარეს ქვეშ ხშირათ ღრუბლის
 ნაჭრები მიდი-მოდიან. შვარცვალდის, ანუ შავიტყის
 მცხოვრებლებს რწამთ, რომ მთვარით განათებული
 ღრუბლის ნაჭრები ცაზე მიიღებენ სხვა-და-სხვა სა-
 ხეს, ან გამოხატულებას, რომლითაც, მათი აზრით,

ცაზე იწერება ქალ-ვაჟის ბედ-იღბალი. ამდროს ყვე-
 ლანი უნდა შეაჩერდნენ ცას და ნიშნადენ ღრუბ-
 ლების მოძრაობას. ყველანი გაჩუმებული უნდა
 იყონ. ეთქვათ, ერთი მათგანი რომლისამე ქალისა და
 კაცს ბედ-იღბალს ჩაუთქვამს მოძრავ ღრუბლებს.
 ამას შემდეგ როგორ სახესაც ღრუბელი მიიღებს,
 იმის შესაფერათაც მოუთხრობს მკითხავეი ქალ-ვაჟს
 იმათ ბედს. მაგალითათ, თუ ღრუბელმა საშინელი
 გველეშაპის სახე მიიღო და დაჩრდილა მთვარე, მა-
 შინ მკითხავეი ქალ-ვაჟს უქადებს ოჯახის უბედურე-
 ბას. თუ ქალ-ვაჟი ცოლ-ქმარი გამოდგა, იმათ უე-
 ჭველათ მოელის გაყრა და ერთმა მათგანმა მეორე
 უნდა დატანჯოს. ხოლო თუ საცოლო და საქრმო
 არიან, მაშინ ეს ნიშანი ერთ მათგანს სიკვდილს
 უქადებს. ეთქვათ, გაუთხოვარმა და საცოლო ეაქმა
 ჩაუთქვეს ცაზე მიმავალ ღრუბლებს თავისი მომავა-
 ლი. თუ აქას შემდეგ ღრუბლის ნაჭრები ერთმანეთს
 გადაებენ, თითქოს ხელჩაკიდებული მიდნანო, მაშინ
 ასეთი ნიშანი უსათუოთ მოასწავებს ქორწილს და
 ქალ-ვაჟსაც იმ ღამიდან ჩაუარდება გულში ერთმანე-
 თის სიყვარული.

იტალიაში შობის დღესასწაული

სულ სხვა ნაირათ იციან იტალიაში შობის
 დღესასწაული, ვიდრე რუსეთში და ვერმანია-
 ში. აქ ზამთარი ძვირათ არის, არც სიცივე-
 ბია. ნაძვის ხესაც ვერ იშოვნის კაცი სამხრეთ იტა-

ლიაში როგორც მერცხლის მოსვლა ჩვენში გაზაფ-
 ხულს მოასწავებს, ისე იტალიელი მწყესები თავის გუ-
 ლითა და შტვირით ჩამოვლენ სოფლათ და ქალაქებ-
 ში ნოემბრის 29-ს, რომ გამოუცხადონ ქვეყანას
 ქრისტეშობის თვე დგება და შობა მოახლოვებული-
 აო. ნოემბრის 29-დან დეკემბრის 7-მდის გაისმის
 ყოველ ჭუჩაში ვალობა და გულა-სტირის ხმა, რო



ფერხული შობა ღამეს გერმანიაში

მელსაც დღესაც აღტაცებაში მოჰყავს ყმაწვილები ისე, როგორც ამ ასი და ორასი წლის წინათ ყოფილა. გულის სიღრმემდის ჩამწვდამი სტიერის ხმა გრძნობას უღვიძებს ხალხს. ყმაწვილები ამ ხმაზე თვითონ დაიწყებენ გალობას. სტიერის რაკ-რაკი შორს გაისმის და ღმობიერებით ავსებს მორწმუნეთა გულს. დამკვრელი ყოველთვის ორი ყმაწვილია. მათ ვარს შემოერთების ერთი გროვა შეთვალ-წარბა და ცეცხლ მფრქვევ თვალეზიანები, რომელნიც ცდილობენ შესტიერების ხელობის სწავლასა და თან სტიერს აყოლებენ თავიანთ ხმებს.

როგორც დადგება დეკემბრის 8, შობის მახარობლებიც შეწყვეტენ თავის სტიერის ხმას და გალობას. დეკემბრის 16-ს დაიწყებენ კვლავ სტიერზე დაკვრას და გალობას, რომელსაც იტალიურათ ჰქვია „Novena del gesu Bambino“ (ახალდღის გალობა იესო ყრობისა). ეს შობის გალობა დეკემბრის 24-მდის განიგრძობა. ეს დღე დიდი საღვთისაწაულო მზადების დღეა: ყოველგან კვლენ ქათმებს, ყვერუ-

ლებს, ინდოურებს, ცხვრებს, ხზოებს, ამზადებენ თევზს, კიბოებს, შემდეგ ხილეულობას ვაშლს, სხალს, ლედეს, ნუშს, თხალს, ნესეს, ყურძენს და ფორთოხლებს. ყოველ კუთხეში მწვანეხალისა და ნახშირის გორაკები დადგმულია ბაზრებში.

